

თეატრი სსსრებში

სათაფრო სალიტერატურო ქაღანა

№ 30 1916 წ ა ს ი
კვირა, 24 მაიათმ 12 კაპ

წელ. გეოტხე
გამოცემისა

ქურონალი წლიურად—5მ.
ნახევარ წლით—3 მ. მი-
სამართი: თბილ ისი, რედ.
"თეატრი და ცხოვრება"
იოსებ იმედაშვილს.



† კიკნა ფშაველი და გრ. ხერხე-
ულიძე,

18 მკათ. თიონეთში ტრადიკულად გარდაც.
იხ. ამავე ნომერში „საიდუმლო ტრაგედია“



კ. ს. ცსომელიძე,
შომღერალ-მსახიობი, იხ. ამავე ნომერში 15 გპ.

ქართველი გრიგორიანები

გაზეთი „სამშობლო“ ღია წერილით მიმართავს ცნობილ ქართველ მოღვაწეებსა და პოეტებს, სარწმუნოებით გრიგორიანებს და დარწმუნებულია, რომ მათი პროტესტი საზღვარს დაუღებს სომხის შოვინისტების განგაშს.

სომხის შოვინისტებმა ძალიან კარგათ იციან, რომ ყველა ეს ცნობილი პირი, რომლებსაც „სამშობლო“ მიმართავს, ქართველები არიან და საქართველოს ემსახურებიან; მათ ძალიან კარგათ იციან აგრეთვე, რომ ქართველი გრიგორიანები საქართველოში არიან. მიუხედავად ამისა რამდენიც უნდა აუწყონ მათ ან. წერეთლისამ, გრიგოლ გველესიანმა, გრიშაშვილმა და ახოსპირელმა, ისინი მანც ეცდებიან, ქართველ გრიგორიანებს დაკატრონონ და გაასომხონ.

ეცდებიან, რადგანაც ამგვარ ცდას სომხის შოვინისტებისათვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.

სომხის ხალხს ღმერთმა კარგი მისცეს; ხოლო საქართველოში პირველ როლს თამაშობს და თავის საკუთარ მიზანს ახორციელებს სომხის ხალხი კი არა, არამედ სომხის სხვილი ბურჟუაზია. მისი მისწრაფება საქართველოს ხელში ჩადება, ამ მისწრაფებას ის სისტემატიურათ, დაუღალავათ, დიდის მოფიქრებითა და ოსტატობით ახორციელებს.

ქართველი ერი ისპობა; მისი ალაფი უნდა დაიკაოს სომხის ერმა, როგორც ეკონომიურათ უფრო ძლიერმა და უფრო მომზადებულმა, — აი სომხის მსხვილი ბურჟუაზიის ღრმა რწმენა. ამ რწმენიდან გამომდინარეობს მისი პოლიტიკაც.

ჩვენ გვინდა წერილებითა და პროტესტებით მას რაღაც შევავნებინოთ, გზა გამოვაცვლევინოთ, — წყლის ნაყვავა ნხოლოდ

სომხის მსხვილი ბურჟუაზია საქმეს აკეთებს და ძალიან დიდ საქმესაც

გრიგოლ გველესიანი, ან. წერეთლისა და სხვანი მისთვის საჭირონი არ არიან, მისთვის საჭიროა ის გლეხები, რომლებიც შუაგულ ქართლში ცხოვრობენ და გრიგორიანები არიან. რა ვუყოთ, რომ ისინი ქართვე-

ლები არიან, სამაგიეროთ სარწმუნოებით ისინი გრიგორიანები არიან და გაუნათლებელი ხალხი — გლეხობა სარწმუნოებასა და ეროვნებას ერთი-მეორისაგან ვერ არჩევს, — სარწმუნოებით გრიგორიანი ან მაჰმადიანი გვართოვობი? აც სომეხი ან თათარი ჰგონია.

აი, გლეხობის ასეთი შეუგნებლობა მეტის მეტათ ხელსაყრელია სომხის მსხვილი ბურჟუაზიისათვის; თუ მან ჩაუნერგა ის აზრი ქართველ გრიგორიან გლეხებს, რომ ისინი ჩამომავლობითაც სომეხები არიან, მაშინ იმის ხელში გადავა მთელი რიგი სოფლებისა შუაგულ ქართლში.

ამ სოფლების აღება სომხის ბურჟუაზიის მიერ ჩვენი დიდი დამარცხება იქნება. სომხის მსხვილი ბურჟუაზია ისეთს სიმაგრეს ჩადგდებს ხელში შუაგულ ქართლში, როგორსაც ვერავითარი მანთაშოვები ვერ შეიძენდენ თვისი მილიონებით.

რამდენათაც ვიცი, გორში არსებობს კომიტეტი, რომლის მიზანიც არის გორის მაზრის გრიგორიანი ქართველები გაასომხოს. ექვს გარეშეა, ეს კომიტეტი დახმარებასა და დარიგება-ინსტრუქციებს თბილისიდან დებულობს.

რა გააკეთა ამ კომიტეტმა? აი რა:

წინეთ წირვა-ლოცვა ამ სოფლებში უმთავრესათ ქართულათ სწავლობდა, დღეს-კი მხოლოდ სომხურათ.

წინეთ ყველა ეს აკოფაშვილები, ტერტერაშვილები, თათულაშვილები, ლოლაძეები გეტყოდენ: ჩვენ ქართველები ვართო, ახლაკი შეგნებულათ აზობენ; ჩვენ სომხები ვართო, აკოფიანც, ტერტერიანც, თათულიანც, ლოლაძიანც და სხვ.

აი რა გააკეთეს სომხის შოვინისტებმა და ჩვენ-კი გვინდა პროტესტებით და წერილებით დიდი ეროვნული საქმე გავაკეთოთ.

რომ ჩამოვთვალო ყველა ის ფაქტები, რომლებიც მარტო მე ვიცი და რომლებიც ახასიათებენ სომხის შოვინისტების მოღვაწეობას ქართველ გრიგორიანებში, ძალიან შორს წაგვიყვანდა

დავასახელებ მარტო ერთს.

ქართული გლეხი მოვიდა ჩემთან ცო-

ლიანად. ახალგაზრდანი იყვნენ. კუბრი რომ წაგეცხოთ ორივესთვის, მაინც იცნობდით, რომ ქართველები იყვნენ.

როდესაც ქალს დავეციოხე, რა გვარი ხარ მეთქი, ლოლაძეო, მიპასუხა.

— ლოლაძე-კი არა, ლოლაძიანც. სომხები ვართო, — გაუსწორა ქმარმა.

— ჩემო ძმაო! ლოლაძე და სომეხი ვის გაუგონია, ალბათ სარწმუნოება გაქვს სომხისა, ისე კი ქართველი ხარ მეთქი, გავუსწორე შე, მაგრამ ის თავსას არ იშლიდა: არ, ბატონო, ჩვენ სომხები ვართ, ლოლაძიანციო.

ეს ერთი მაგალითიც საკმაოთ ამტკიცებს სომხს ნაციონალისტთა საქმიანობას და ჩვენს დაუდევრობას. ქართული გლეხა როდესაც იმდენათ გადააჯულდება, რომ ლოლაძეს ლოლაძიანცათ გადააკეთებს, მისი გადმორაჯულება მეტათ დიდ მუშობას მოითხოვს.

რა უნდა ვქნათ ჩვენ?

მგლის თავზე სახარების კითხვას თავი უნდა დავანებოთ და სომხის ნაციონალისტების საქმიანობას ჩვენც საქმით ვებრძოლოთ.

უნდა დავაბრსოთ სკოლები ქართულ გრიგორიანთა სოფლებში და შევასწავლოთ ქართული წერა-კითხვა.

უნდა ვეცადოთ, რომ წირვა-ლოცვა ქართულ ენაზე სწარმოებდეს ამ სოფლებში.

უნდა ვეცადოთ, რომ ტერტერებათ ქართველი გრიგორიანები იყონ ამ სოფლებში.

უნდა დაიბეჭდოს პატარა წიგნები ქართველ გრიგორიანების შესახებ, უნდა იყოს ჩამოთვლილი შიგ ანბანზე ყველა ქართველი გრიგორიანების გვარები და ამგვარი წიგნები უფასოთ უნდა რიგდებოდეს დრო და დრო სისტემატიურაჲ ქართველ გრიგორიანების სოფლებში.

უნდა ყოველი ღონისძიებით შევეუწყოთ ხელი ქარწინებას ქართველ გრიგორიანთა და ქართველ მარმადიდებელთა შორის, ქართველ გრიგორიანთა ნიჭიერი ყმაწვილები უსასყიდლოთ უნდა აღვზარდოთ ქართულ გიმნაზიაში და სხვ.

ყველა ამისთვის ბრძოლაა საჭირო და დიდი ბრძოლა, რადგანაც სომხის ნაციონა-

ლისტები ყოველგვარ საშუალებას მიმართავენ, რომ ქართველი გრიგორიანები ხელიდან გამოგვკლიჯონ.

ჩვენც ყოველგვარ საშუალებას უნდა მივმართოთ, დაიხსროთ ყველა ვინც-კი ამ დიდ საქმეში გამოგვადგება და მაშინ და მხოლოდ მაშინ მივალწევთ მიზანს.

ი. კ. მჭედლი

ცრემლები ქრავლისა

(გუძღენი ა შტეინმანს

მ ი ბ ა ძ ვ ა

არ მაქვს სამშობლო, არ მაქვს მამული, მარად დევნილი დავძრწი, ვწანწალავ; არ შემხვედრია მე თანამგრძნობი, ოჰ! ბედო, ბედო, რაირგ მაწვალებ! პალესტინასა შორიდან შეესტრფი, მიახლოვების არა მაქვს ნება; რომ ვაღვიარებ მოსეს კანონსა, მით არ მიძლევა თავსუფლება... დიად! მეც მიყვარს ჩემი სამშობლო, ჩემი ეფფრათი, ტიგროსი ჩემი... მაგრამ დევნილი ძალდატანებით მას შორს ვაღურბი, როგორც ირემი... ჩემო აკვანო, შენ ნუ გგონია, ვითომ შორს რომ ვარ მით არ მიყვარაზრ; ჩემი ოცნება და ჩემი მრწამსი, სამშობლო ჩემო, მაინც შენა ხარ. თავზე დაჯირი წარსულს დიდებას, თუმც ვიცა, რომ ის არ მობრუნდება, და ნუ გგონია, რომ შენი სახე ამ წყლულ გულშა ვითომ ხუნდება. მეც მაგონდება შენი წარსული, შენი ძველი დრო, შენი დიდება, დღეს რომ სხვას ვხედავ შენ თავზე ბატონს წყლულს გულში სევდის სიმი იბმება. მწარედ ქვით ნებს და ამ ქვითინით შენს ტოლივით წვილთა იმედს უღვიძებს „მაინც იქნები“ ამა იტყვიითა ის მოუწოდებს ეფფრატის შვილენს...

აღ. იახალაშვილი





სტუდენტი გრიგოლ ზურაბის ძე ხერხეულიძე
 13 მკათავეს თორეთში ტრადიციულად გარდაცვლილი-
 სურათი გადაღებულია 1910 წ. გიმნაზიელობის დროს,
 როცა თავისი პირველი ლექსთა კრებული „პირველი
 სხივი“ გამოსცა.

უფსკრული

(მოთხრობა ახლახან ტრადიციულად გარდა-
 ცვლილ სტუდ გრიგოლ ხერხეულიძისა)

ზაფხულის მთვ რიანი ღამე იყო. მდინარის პირად, ს დაც ორსართულიანი შენობაა აღმართული, ახავერდებულს ბაღში საამო ნიავი ლაღად დასეირნობდა. ირგვლივ იღუმალეზა მეფობდა; მხოლოდ მდინარის გაალმასებული ხმა და ნიავისაგან შექანებული ჩახლართული ფოთლები ხანდისხან თუ დაარღვევდნენ ხოლმე სიჩუმეს.

მთვარე ერთს მთლიანს ცეცხლის ზღვას წარმოადგენდა, ყველას ეძინა, არ ეძინათ მხოლოდ მდინარის პირად სახლში მცხოვრებთ, რომელნიც ზემს ეძლეოდნენ. გაჩირღდნებული ქალები ელექტრონისავით ეღვარებდნენ.

აგერ ნიავი მოსწყდა კლდეს და ზერეულად გადმოხრიალდა. ხეივნის ფოთოლნი შეშრიალდნენ, განზე გადაწვენენ, გადიხარნენ და მთვარის შუქზე ხეივანში ხის სკამზე, ორი ფიგურა გამოჩნდა... შეყვარებულნი იყვნენ.

დიდი დაკვირვების შემდეგ გააჩრევლით, რომ ერთს მათგანს ძალიან ნაკლებად ეცვა, რაიც მოწმობდა მისს სილატაკეს. დალონებული, ფერმიხდილი ოღნავ იყო დანდობილი სკამზე და ცეცხლის მფრქვეველი არწივის თვალებით: ქალს მიშტერებოდა ზღვასავით უძირო თვალბში. უკანასკნელი ვაჟის მუხლებზე მსუბუქად ჩამოჯდარიყო და თავით ძალხედ ეკვროდა ვაჟის მკერდს მას ეცვა სადათ, მაგრამ ძალიან სუფთად და შნოიანად. მავარე შორიდან უხვად შესთავაზებდა კოხტად შეკრულ სხივებს თაიგულს. ვაჟის დანაღვლიანებელ სხეს რაღაც მკუმენვარების ზოლი შესამჩნევად აღბეჭედოდა. ხანდასმით თავდავიწყებ ს ეძლეოდა და უსულო ქანდაკებასავით უძრავად რჩებოდა დიდხანს. ქალი კი მტკიცედ ეკვროდა გულში. შიშველა ხელს აღზუნებულად ხვევდა ვაჟის ყელს და ბროლის თითებზე შნოიანად ხლართავდა მისს ხუტუქს თმაში.

— ჩამიკარ გოლში მაგრა, მაგრა... მე შენი ვარ, შენი. მე მხოლოდ შენ გეკუთვნი.

ვაჟი წამით გაოცდებოდა ფიქრებში. იმედმიხდილი თვალები შეაფეთა ქალს და გაშმაგებულად მხურვალე კოცნით დაუფარა სახე.

— ჰო, ვგრე, ჩემო კარგო, ვგრე... ოხ, რომ იცოდე, რა ნეტარებასა ვგრძნობ! ასე მგონია ეს ქვეყანა მხოლოდ ჩვენთვის იყვეს შექმნილი და ყველა ჩვენ შემოგვანატროდეს. ჩვენ ეხლა თავისუფალნი ვართ. სიცოცხლე და სიხარული ეხლა ჩვენშია.

ვაჟმა მწაჭდ ჩაიქნია თავი.

— კიდევ სევლა, კიდევ დარდი!—გაკვირვებით შეეკითხა ქალი: ნუ თუ კიდევ ეპვი გეპარება ჩემს სიყვარულში?!

— არა, ჩემო კარგო.— იყო ვაჟის პასუხი. — მე გფიქრობ ჩვენს წოდებაზე. შენ დიკაციის ქალი, ბრწყინვალე წოდებასა; მე კი—ვიდაც ნაბიჭვარი, გლეხი.

— დაანებე თავი გულის შემზარავ ფიქრებს. მე არ ვიცი რა არის წოდება: ჩემთვის ქვეყნად არასფერი არ არსებობს შენს გარდა. მე შენი ვარ, შენი. მე არ ვიცი რა არის სევდა, დარდი. მე არ ვიცი რას ჰქვია მწუხარება. რა უყოთ, რომ მე ფუფუნებაში აღზა-

დიდი ვარ. მე შენ შემეყვარდი. მე შენ ვაგინად ჩემს ბატონად, ჩემს მეფედ. მე მონა ვარ შენი, მონა: შენ კი—ჩემი ქურუმი, ჩემი ღმერთი, გესმის? — დაანებე თავი ჯოჯოხეთურ ფიქრებს. მიმიკარ გულზე. მინდა ერთი წამით მაინც არის ვიგემო სიცოცხლე, დავსტკებ სიყვარულით.

ვაჟმა ათრთოლებული ხელები რკალივით შემოაქლო ქალის წერწერა წელს და იმ გვარად მიიკრა მკერდზე—თითქოს გასრესას უპირებსო.

— რა წარმტაცი, რა ანგელოზი რამა ხარ, ჩემო ღვთაება! დიხაც შენ ჩემი ხარ და ჩემი იქნები კიდევ. თვით ღმერთსაც არ დავუთმობ შენს თავს, მაგრამ...

— მაგრამ რა?

— ჩვენ შორის დიდი უფსკრულია“.

— დეე იყოს... მე მაინც მარდად გადმოვფრინდები შენთან.

— საექვოა... მშობლებმა რომ ნება არ დაგერთონ მაშინ?”

— როგორ! მაშინ ჩემთვის მშობლებიც აღარ იარსებებდნენ, მაშინ მხოლოდ შენ იქნებოდი ჩემი მშობელიც და ყველაფერიც, ჩემო ხატო, ჩემო ღმერთო! და მძლავრად მიიკრა მკერდზე.

გულმა სიხარული იგრძნო. სევდა გაჰქრა. სულის წამება, რომელიც ჯოჯოხეთურ ტანჯვაზე უარესია, ვნებათა ტალღამ შესცვალა. ორი სულიერი არსება ერთად ჩამოდუღდა. გიჟმაჟურმა ტრფობამ გაიტაცა, თავდავიწყებას მისცა ..

უცებ რაღაცა შეჰქრთა... იღუმალი ხმა ესმა ქვეყანას. სიჩუმე .. ხვაშიადით სავსე აკორდი მოსწყდა როიალს და მარგალიტებად გაიბნა ჰაერში ყველაფერი გაინაბა. შესწყდა ძარღვი სიცოცხლისა სუნთქვაც შეიბორკა. ზრახვანი ჩაკვდნენ გულშივე. წამიც და ხმაშაც დაიკვნესა მელოდიურს ჰანგზე. ცის ეთერში გაიბა ქსელი და შიგ ნადველი ჩაექსოვ, გულმა ტოკვა დაიწყო. აფორიაქებულ ზღვასავით, ხმის მღვლეღარებას დაემორჩილა, დაემონა და რწვეა იწყო.

დღ პალატიდან კვლავინდებურად თავდავიწყებით სტექდა, მაგრამ ამავე დროს

თითქოს სტიროდა სამური ხმა, რომლის ნაღვლიანი კილოც მსმენელთა გულის მტკივნეულ ძაფს ნაღვლიანადვე აქედრებდა. მღეროდა, მაგრამ ეს სიმღერა მწუხრის ეამ-ს მელოდიას უფრო წაგავდა, რომელიც მწარედ მოსთქვამდა ქვეყნის ამოებას

კიდევ წამიც და ირგვლივ სიკვდილი გამეფდა.

— როგორ! შენ სტირი? გაისმა ქალის ხმა...

იღუმ.ლება.

— შენს თვალებზე ცრემლები?!—კვლავ აკანკალებულის ხმით შეეკითხა ქალი.

— ესტირი, ცრემლსა ვღვრი და ეს ცრემლიც შენმა სიყვარულმა დაიმსახურა. იყო ვაჟის პასუხი.

სამარისებური სიჩუმე.

— მაგრამ, შენ კიდევ სტირი, ღმერთო-ჩემო!

არსით პასუხი, ვაჟი სღუმს. მის ღრმა, ზღვა ავით უძირო თვალებიდან დაპაღუპით გადმოდოდა მარგალიტი ცრემლები და მის შეყვითლებულს, შენაცრიანებულს დაწვებს ეკიღებოდა. ქალიც სევდამ წარიღო. შავი მქუნვარე ფიქრები იმგვარად შემოერტყა გარს თითქოს მინდვრად გ.მ.არტოებით მღვარ მუხას გუნდი მტრედისა ზედ დაეშვაო.

მაგრამ ფიცხლავ თითქოს ვიღაცამ მუჯღლუგუნა წაჰქრაო, გამოერკვა, დააკვდა ტუჩებით სატრფოს დანამულს ლოყას და სწრაფად შეაშრო მღულარე ცრემლები.

ყველაფერი სღუმდა. მთვარე ისევ ამაყად დასცურავ-დასეირნობდა ცაზე და ღამს წყვიდალ სდარაჯობდა.

იქ კი, პირდაპირ, ვიღაცა კვლავ კვნესოდა, მღეროდა. ხან თითქოს მიინაბო, ისე ეკარგებოდა სმენას მიმკვდარი ხმა, ხან კი მძვინვარებდა, ნელის სუნთქვით ხმს აუმაღლებდა, კვნესას კვნესა ემატებოდა, ღამობდა ბოლმის და ნადველის გადმონთხევას, მაღლამაღლა მიიწვედა თითქოს ცის თაღს გარღვევას უპირებსო და მჭურად, არწივის მგსავსად, ცაში კამარას ჰქრავდა,

ყველაფერი მოჯადოვა. მწუხრება ნეტარებას და სიკვდილი სისიცოცხლეს ჩაეწებ-

ნენ. აგერ გულს მალამოდ მოეცხო, კანკალით დაიძრა და ვულკანისებურის ქუხილით ქართველის დაოსებული გულიდან აღმოხდა განწირულების მკენესარე ხმა, რამაც მთლად გაღმონათხია ბოღმით და სევდით გალივლივებული ფიალა. წავიდა ზევით, ზევით, უკანასკნელად გაიზმორა, დაიგმნვა და მოსწყდა საღდაც შორს, ძალიან შორს.

ღამის მოტრფიალეთა მხიარულმა ყიჟინამ კვლავ დაარღვია მიძინებული ქალაქის მყუდროება. გაისმა გაღაღებულთა სიცილ-ხარხარი და აპლოდისმენტები. ზემის ერთერთ ქურუმს, მომღერალ-ქალს გამარჯვებას ულოცავდნენ და ვაშს შესძახოდნენ.

ბაღში-კი, ხეაენებ შორის შარსქვერუტელი თვალი გულის საკლავ სურათს ნათლად გაარჩევდა: შიშით შეპყრობილი ქალი ათრთოლებულის ხელებით მსუბუქად ეხებოდა ვერს გადადგლილ მერდს, რომლის ქვეშაც ფართხალებდა ძარღვი სიცოცხლისა. ვაჟის გაყვირებულ სახეს ნაცრის ფერი ედებოდა: თვალები ებნიდებოდა, ეხუტებოდა, კანკალებდა, ცახცახებდა.

იგი კვდებოდა.

ჯრ. ხერხეულიძე †

ჩვენ და ჩვენი თეატრი

ჩვენ წინ ძვეს ამაი, სხვა და სხვა გამოცემაში დაბეჭდილი, სხვა და სხვა ავტორის წერილი. ერთი მათგანი დაბეჭდილია თორმეტი წლის წინად. ხოლო ორი სხვა ამა წლის მკათათვის პირველ რიცხვებში*).

სამივე წერილი ერთსა და იმავე საკითხს უტრიალებს, — ჩვენი თეატრის დუხქირ მდგომარეობას დაკენესის. არა თუ თემატიურ საკითხით, თვით ფორმის მხრითაც არაფრით განსხვავდებიან ერთმანეთისგან ეს წერილები.

1904 წლის წერილის ავტორიც გულდაწყვეტილად გვიამბობს სათეატრო შენობის უქონლობას, სცენის მოღვაწეთა უღრმესი ვიწრო პირობებში ყოფა-ცხოვრებას და წრევან-

დელი წერილების ავტორიც. სამივე ავტორი იმ იმედით ათავებენ წერილებს, რომ ქართველი საზოგადოება, პრესა და თვით მსახიობებიც შეეცდებიან სათეატრო საკითხის დადებითად გადაქრას მოკლე ხანში. 1904 წლის წერილის ავტორის წუხილს ისიც აძლიერებს, რომ მაშინ ჩვენი რეპერტუარი ღარიბი იყო, „მალალი“ საზოგადოება „ხათრის“ გულისათვისაც არ დადიოდა თეატრში და მაშინდელ მცირე რიცხოვან გათვითცნობიერებულ ქართველ დემოკრატიის ამარად ჩვენს წარმოდგენის მმართველებს ყოველთვინ დეფი იტი მოსდიოდათ; მაშინ თეატრი თვით ჩვენს ქალაქებშიც ძლივს იდგამდა ფეხს და დაბა-სოფლებში ხომ სანატრელი ხილი იყო წარმოდგენა. დღევანდელი ავტორები ვერც რეპერტუარის საღარიბეს შესწრვლებენ და ვერც წარმოდგენებზე დამსწრეთა სიმცირეს.

რავისთვის საიდუმლოებას არ შეადგენს, რომ სასცენო ხელოვნებამ დღეს დაბა-სოფლებშიც საკმაოდ მოიკიდა ფეხი; მისი პატივისმცემლები ყველგან საკმაოდ მოიპოვებიან — ქალაქებშიც და დაბა-სოფლებშიც, მხოლოდ, მცხოვრან მწერალ-მოღვაწის ნ. ნიკოლაძის თქმის არ იყოს, ჩვენი საზოგადოების ორგულობის და ხშირად უთავებოლობის მიზეზი საზოგადო სარდლებს უყოლობაა.

ნუ თუ 1904 წლიდან დღემდის იმდენათაც ვერ წავიწიეთ წინ, რომ ერთსა და იმავე საკითხზე მაშინიც და დღესაც ერთი და იმავე ენით უნდა ვილაპარაკოთ?

არა, ეს დაუჯერებელია ყველასათვის აშკარაა, რომ ეს ასე არ არის!

აქ ჩვენი წინსვლა არც იმდენ შუაშია. სწორედ რომ უსარდლობა აზნებს ჩვენს საზოგადო ძალებს. ამის დამამტკიცებელი ისიც არის, რომ ჩვენში ბევრი საქმე დასაწყისშივე იფუშება, დღეს ცამდის ამალღებული საზოგადო სურვილი, ხვალ მიწის პირს ეკვრება.

ჩვენს საზოგადოებას ერთგვარი სენი და სჩემდა: ის ყოველ ახალ დასაწყისს დიდის ხმაურობით შეხვდება, ხოლო როცა საქმე ნამდვილ ენერგიას და თანაგრძნობას მოითხოვს, მაშინ საყვირია საქრო იმავე საზაზის შემოსაკრებათ...

* იხ. „მომბე“ № 10 1904., „თეატრი და ცხოვრება“ № 28 — 9.6 წ. და „სახ. ფურცელი“ № 618 ამავე წლის.

ჩვენი თეატრის დაწვამ ხომ ერთობ აახმა-
ურა ჩვენი საზ-ბა, თბილისელ მუშაკებს თი-
თქმის სვანეთიდანაც-კი ამხნევებდენ. ეს მო-
ვლენა ყველას გვახარებდა: ფიქრობდით, ამ-
დენ თანამგრძობთა ხელში ცოდვთა ქართული
სცენის დაობლებათე ლაპარაკიო. თბილისში
ჩვენს მოსიტყვე მოღვაწეებს რომ თავი დავა-
ნებოთ, ხატისოვ-ჯაბარებიც ხომ მამობას პი-
რდებოდენ ჩვენს სათეატრო ხელოვნებას. ვინ
იფიქრებდა, რომ შარშანდელი თავგამოდე-
ბული გულშემატივარნი ჩვენი თეატრისა
წრეულს იმავე თეატრის აწეწილ საქმეების
ოდნავ ყურადღების მოსაქცევით მანც იქნე-
ბოდენ მოსახმობნი? არა, ღმერთმა ნუ ქნას,
რომ ეს საზარელი სენი ჩვენს მომავალ თა-
ობასაც გადაედვას, ეს ხომ დაცინვაა საზოგა-
დო საქმისა და თვით საზოგადოების!

კითხულობთ წერილებს ჩვენი დედაქა-
ლაქის თეატრის, მცხოვან და დამსახურებულ
მსახიობთა შესახებ, — გცნობით ამავე დროს
იმათ „მოღვაწეობასაც“, ვინაც ამ საქმეებზე
უნდა ზრუნავდენ და გული გიკვდებათ; თუ
ჩვენ არა, მაშ ვინ უნდა იზრუნოს ჩვენს სა-
ზოგადო საქმეებზე? ხატისოვებმა, რომლებიც
წარმოდგენების სამართავად კლუზისკენ მიგვ-
თითებენ? არა, ჩვენში საზოგადო მოღვაწეო-
ბის „იარლიკებს“ ძლიერ იაფად არიგებენ,
თორემ ასეთ საზოგადო საქმეების მრავალი
თანამგრძობნი „უსარდლოთა“ არ დარჩებო-
დენ.

„დროა შევიკნოთ, რომ სცენაზე მუშა-
ობა ისეთივე საჭირო და სასარგებლო საქმეა,
როგორც სხვა საზოგადო ასპარეზე მოღვაწე-
ობა,“ — ასე ათავეებს წერილს 1904 წლის ამა-
ვე საკითხის წერილის ავტორი*) ნუ თუ ეს-
ვე უნდა ვიმეორათ წელს, მომ. ვალ წელს და
ასე ბოლომდის? მაგრამ ეს ბოლო როდის აღ-
მოჩნდება?

ვისაც ყური სმენდაქვს, ისმინოს: ჩვენს
თეატრს ჩვენს დედაქ-ლაქში თავშეს ფარი
უნდა ჰქონდეს, მსახიობებს ყოველთვის „კუ-
ქზე“ ზრუნვისკენ არ უნდა ჰქონდეთ თვალე-
ბი! ჩვენი ენის და სახის წმინდა დამაცველი
დღეს მხოლოდ თეატრია!

არ. ფანცულაია

*) იხ. „მომამბე“ № 10, გვ. 137.

საიდუმლო ტრაგედია

**კიკნა ფშაველი — სიკო ბაღურაშვილი და
გრიგოლ (გრიშა) ხერხეულიძე**

ცხოვრების სინამდვილემ ჩვენს საზოგა-
დობრივ წყობილებასა და სწავლ-აღზრდის
საფუძველს კიდევ ერთი ღონიერი სილა გაუ-
ლაწუნა.

მკათათვის 13 თიონეთში ორმა საუკეთუ-
სო ახალგაზდამ, ორმა ჯერედ გაუფურჩქე-
ნელმა ძალამ საუკუნოდ დახუტა თვალი...

ერთი — მწერლობაში კიკნა ფშაველია
ფსევდონიით ცნობილი, ახალგაზდა მგოსანი
სიკო ბესარიონის ძე ბაღურაშვილი, დორპა-
ტის უნივერსიტეტის მეოთხე კურსის იურა-
დიულ ფაკულტეტის სტუდენტი, სოფ. ეე-
ბოტიდან, თიანეთის მაზ., მთელი გოტხას
შვილი, 26 წლისა, ესფერთა თანამოაზრე,
რომელიც სამწერლო ასპარეზე გამოვიდა
1910 წ. ადრე და მრავალ წვრილ ლექსთა
გარდა დასწერა ხუთი პოემა („დემონი და
სერბ-მი“, „მე და მუხა“, „უამის ზღაპარი“
და ორიც სხვა.) მისი ქაწირები ძმ. ხერხეუ-
ლიძეთა მიერ ცალკე გამოსაცემად მზა-
დებოდა. სწავლობდა ქ. შ. ნ. ე. შ. ს-ის
სტაჟენდიით.

მეორე — გრიგოლ (გრიშა) ზურაბის ძე
ხერხეულიძე, დორპატისავე უნივერსიტეტის
საქიმიო ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენ-
ტი, მწერალი და პრაქტიკული მოღვაწე, 24
წლისა, ბარელი — ცხინვალიდან, თავადის შვი-
ლი, დასელთა თანამოაზრე. მუშაობდა თბი-
ლისის მუშებში, 1911 წ. ცალკე წიგნად გა-
მოსცა თავისი იდეური ლექსები „პირველი
სხივი“. დაწერილი აქვს დრამაც, თ. ნამშრო-
მლობდა ივ. როსტომიშვილის „სინათლე“-ში
„თან. აზრ.“, ჩვენს ქურნალში და სხვა

ერთი — კიკნა — ნამდვილი პოეტი, ვიწრო
ჯგუფობრიობაზე მაღლა მდგომი, რომლის სუ-
ლი მ. ესწრაფოდა უმაღლეს იდეალებსკენ და
მსოფლიო ნაღვლით გულ-დათუთქული მუ-
დამ მკენესარე მოსთქვამდა:

„როცა სოფელში ნაფლავარაა, —
ეს არის ჩემი ტრაგედია ცხარია;



კიკნა ფშაველი—სტ სიკო ბაღურაშვილი

13 მათ. თიონეთში ტრალიკულად გარდაცვლილი.

და როცა ჩისლი ებურგის ტუეს,
ეს არის ჩემი ფიქრების კვანძი.
გული ვერა სამაბს ცხრამეზის მწარეს,
ფიქრით კი ვცხრამეზობის მხარესა-ო.
მეორე—გიგა, ხალხის სამარადდღეო

ნეთ გატაცებული, რომელიც
ჩაგრულთ მხარეს ჭმირდებოდა
ტანჯვისაგან დახსნას, შექლის,
მისწრაფოდა წინ, იქ,

„სადაც სიმართლეს აღუმართავს ცხე-დარბაზი,
სადაც ნეტარებს სიუარულა, ძმობა, ერთობა!..“

მუშაობდა, რომ
ტანჯულთ კერა გაეღვიძებინა,
და მრისხან ბრძოლისთვის მოემზადებინა“,
რომ

„თუ იფით არა მანტ ერს ტანჯულს გაქანანა!“
და ამიტომაც ხალხისთ გავითცნობიერე-
ბის მოტრფილეს მოუწ-დებდა:

„იქროლე კვლავად წყვილად-ბნედეთში,
მოჭკვიდი შემუსრავ მტერთან ბრძოლაში!
და მხოლოდ მაშინ, მაშინ კი მხოლოდ
ძალეის გადქცე რწმენის სიმბოლოდა“

პირველი ამათგანი—კიკნა ხალხურ
აღათ—ჩვეულებათა მტკიცედ დაძველი პარ-
კუსტი, მეორე—გიგა ღალი, ბარში თავი-
სუფლად აღზრდილი, ორავე სიყრმის მეგობ-
ბარ—ამხანაგნი, რომელნიც უერთმანეთოთ
პურსაც არ გასტეხდენ, საზაფხულოდ მთას
ეწვივნენ...

კიკნას მშობლებმა, ძმებმა და რძალმა გი-
გა ხელგაშლით მიიღეს,—ხალხმა სიყვარულის

გული გადუნსნა, როგორც კეთილ მზრუნვე-
ლს—„პატარა ექიმს“.

ძმა-მეგობრებად გაფიცულნი ცხოვრო-
ბდნენ: შეადგინეს სცენის მოყვარეთა წრე და
წარმოდგენების მართვა დაიწყეს ხალხისინა-
თლისა და სიყვარულის შესატანად.

მაგრამ ერთ უბედურ ღამეს, 13 მაათათ-
ვეს, მოხდა საზარელი მკვლელობა: ვითომც
კიკნას გიგოსთვის ცული დატხლიშოს და
მერე თვითონაც თავი მოეკლას.

აი, ზოგიერთი ცნობა მკვლელობის შე-
სახებ, განსვენებულ გრ. ხერხეულიძის ძმის
მიხეილის მიერ გადმოცემული:

„ოფიციალური ცნობა, რომელიც იკაუ-
რებესაცა სწამთ, ასეთი: გ. ხერხეულიძესა
და ს. ბაღურაშვილს მოსვლიათ კამათი, რომ
მელიც ჩხუბად გადაქცეულა. ხერხეულიძეს,
როგორც სტუმარს, იმგვარ მასპინძელთან ყო-
ფნა საქიროდ ვერ მიუჩნევია, აღია თავისი
ბარგი და წაოსულა კიბეზე დასწევია ბაღურა-
შვილი, თავში ცული ყუით დაურტყავს,
ხერხეულიძე იქვე გარდაცვლილა, ხოლო ბა-
ღურაშვილი სახლში შებრუნებულა და
თოფით თავი მოუკლავს. სანამ გარდაიც-
ვლებოდა—რძლისათვის უთქვამს: „გიგოს ცული
დავარტყი, ძირსა გდია... მე ხომ ვკვდები და
ის ცოცხალი არ გაუშვათო... საწერ-კა-
ლამი მომეცი, ყველაფერს დავწერო“. ამ სი-
ტყავების შემდეგ კი თვითონაც გადაცვლილა.

არის მეორე ვერსია: რაკი ჩხუ-
ბის შემდეგ ხერხეულიძეს წამოსვლა დაუბი-
რებია, ბაღურაშვილს სტუმრის წამოსვლით
გამოწვეულ სირცხვილისათვის და თვით ხერ-
ხეულიძისა და მისი მშობლების მიმართ მოკრ-
ძალების გამო ვიღარ გაუძლია და თავი მო-
უკლამს. როდესაც ეს ბაღურაშვილის ძმას
გაუგია—ხერხეულიძისათვის, როგორც მისი
ძმის მკვლელობის მიზეზისათვის, ცულის ყუით
თავი გაუჩხენია... სიმართლე ამ ცნობებისა
არავინ იცის“

თვით ხერხეულიძის მშ-ბლებს სიკოს მი-
ერ მთი შვილის მოკვლა შეუძლებლად მია-
ჩნიათ.

საზარელი ამბავი მოჰხდა, მიზეზი მანც
ჯერ გამოურკვეველია.

მიზეზად სხვა და სხვა ვარემოებას ასახე-

ლებენ: პარტიულს, უბრალო საკინკლაოს, სამიჯნუროს..-

ნამდვილი კი არა სჩანს.

ტრაგედია ესე ღრმა საიდუმლოებით არის მოცული.

გრ, ხერხეულიძე მრავალ ხალხის თანადანსწრებით დიდის გლოვით დაკრძალეს იბილისში; კიკნას ოჯახი-კი ვითომც მღვდელსა და მის მრევლს დაეკრულოს სტუმრის ღაუნდობლობისათვის...

ნუ თუ ამ ტრაგედიას საიდუმლოების ზეწარი არ გადაეხსნება?

კიკნა ფშაველის სახელი მოითხოვს უფრო

მეტს ყურადღებას: მან თავისი სიკვდილით სიკვდილზე გაიმარჯვა—ნამუსისათვის თავი მოიკლა, ხმა ერისაც ზნეობრივად ნუ მოჰკლავს.

სინდისის მხილება მოითხოვს ამ საიდუმლო ტრაგედიის კვანძის გახსნას..-

ეს საკიროა ჩვენი საზოგადოებრივი ჯანმრთელობისათვის..,

ჯერ-ჯერობით კი უგულისთადეს თანაგრძობას ვუცხადებთ უბედურად დაღუპულ სიკოს და გიგოს მშობლებს: ამათი სიკვდილით ჩვენს ქვეყანას ორი ნიკიერი ახალგაზდა უღრროდ გამოაკლდა...

იოსებ არიმათიელი

მეგობრებს.

ირ. ევდოშვილის დაუბეჭდავი ლექსი

(სხვა ლექსში დაბეჭდილია მხოლოდ ამისი პირველი პარაგრაფი)
(ტრ. ინსარაძისაგან გადმოცემული)

შრომა... ოფლის ღრა... სიღარიბე... ძუნწი ცხოვრებ...
თანამომემნო, დღეს ეს არის ჩვენი სვე-ბელი,
მაგრამ არ შედრკეთ, არ დაეცნეთ სულით, მამაცნო,
და უღელს მძიმეს ძარღვ-დაჭიმვით მიეცეთ ქელი;
თუ რომ ოდესმე თვალებს თქვენსას ცრემლი მოაწვეს,
ნუ, ნუ დასწყველით მშობელს თქვენსას და გაჩენის დღეს,
მიეცით ნება, დღე შეკრდზე გადმოიღვაროს,
რომ ერთი-ორად ნაღველ-სმული გული აღაგზნოს!

ი. ევდოშვილი



† ილია ილიას-მე მადნიკოვი, რუსთა პროფესორი, განთქმული მეცნიერი, შედარებითი ემბრიოლოგიის და იმუნოლოგიის თეორიის ერთი შემგარდ. 2 მკათ. პარიზში.

კურდი
ანუ

კეთილის-ძეოფელი

ხუმრობა 1 მოქ. აღ. მიუსარ-ვიკენტიევისა, გადმოკ.
გრ. აბ-კელიას-მიერ.

მ. ი. მამედანი:

- ფხეკილაძე — პროვინციის მსახიობი.
- ქურდი.
- სახტუმროს პატრონი.
- სტამბის გამგე
- მრეცხავი ქალი.
- სახურა

(ცენა: უბრალოდ მორთული სასტუმროს ოთახი, შუაში შემოსავალი კარი. მარცხნივ ფანჯარა, მარჯვნივ კედელთან კამოდი, ავანსცენასთან ახლოს პატარა მაგიდა და სკამი. მარცხნივ დივანი, საწოლის მაგიერი. კედელზე ძველი აფიშები და გახუნებული გვირგვინი გახუნებულზე ლენტით)

I ფხეკილაძე.

ფხეკ. (დადგრკიმილი ზის დივანზე: ჭკედი შარვალი და ფართო შლახა) არც ერთი გროში! (წამოდგება) ქრისტეფორე კოლუმბო ამერიკა აღმოაჩინა, გუტენბერგმა სტამბა გამოიგონა, პითაგორამა—შარვალი... მაგრამ გარწმუნებთ ეს უფრო ადვილი იყო იმათთვის, ვიდრე ჩემთვის ერთი მანეთის შოგნა. ეჰ! სადიშოვანი? ყოველ ოჯახში არის ფული, მხოლოდ უნდა იცოდე სადა დევს... (დივანზე დაწება. ჰაუზა) მშოია... „ცარიელ მუცლით, გახვრტილი ჯიბით, უსახლკარო, უპატრონოთ“ დვიძინებ მაინც.

II

იგივე და მსახური.
მსახ. (კარს აკაკუნებს ხელა)

ფხეკ. შემოდით... შემოდით...

მსახ. (უფრო ძლიერ აკაკუნებს)

ფხეკ. შემოდით, დაგწყევლოს ღმერთმა!

მსახ. (შემოდის) გამარჯობათ.

ფხეკ. აჰა! ალექსი გამარჯვება. როგორ გიკითხოთ?

მსახ. გმაჯობოთ, ბატონო, თქვენ როგორ ბრძანდებით?

ფხეკ. გმადლობთ. დღეს ჩინებული ამინდია...

მსახ. მართალს ბრძანებთ! ჩინებული დღეა... (ანგარიშს გადასცემს) მეტადრე ჩემი ბატონისთვის...

ფხეკ. (აშთქნარებს) დიახ, დიახ... მაგრამ რაღაცა საშინლად შეძინება.

მსახ. თითონ ბატონს უნდოდა მოსულიყო...

ფხეკ. ალექსი, რამდონჯერ მითქვამს, რომ ჩემთან შენი ბატონი არ ახსენო... განა შეიძლება ლაპარაკი იმ პირუტყვზე,

„როდესაც ყვავის ზაფხული!

დამე კაშკაშებს!

ტყე შრიალებს, ზღვა გვიალერსებს

და ყვავილთ ყნოსვა სევდას გვექარწყლებს“

მსახ. ბატონო, წინა თვეშიაც ლექსებს მიკითხავდით... სჩანს ეხლაც არაფრის მოცემა არ გინდათ?

ფხეკ. მართალია.

მსახ. ჩემი ბატონი-კი დღეს დაბრუნდა, ნუხას იყო წასული სავაჭროდ. რაც ფული წაიღო—სულ დახარჯვია და ეხლა-კი ფული უკირს.

ფხეკ. კარგა. კმარა ამაზე ლაპარაკი. საქმე გადაწყვეტილია.. მე მას ერთ გროშსაც არ მივცემ.

მსახ. მაშ რა მოვახსენო ბატონს?

ფხეკ. უთხარი, რომ სამწუხაროდ კიდევ ცოტა ხანს უნდა მოითმინოს... უთხარი, რომ მე მივიღე ანგაჟემენტი და ფულსა და დეპეშას ყოველ დღე ველი.

მსახ. ეხ! შესმის... სამი თვეა გაჟემენტს ელის!... ეხ!

ფხეკ. კმარა, ალექსი! მოშლილ გრამაფონივით ნუ ოხრავ, თორემ მოთმინებიდან გამოვედი.

მსახ. (მიდის კარისკენ)

ფხეკ. მოიცა... გამიგონე..

მსახ. რა გნებავთ?

ფხეკ. იცი რა... ეს... როგორა ვსთქვა, არ შეგიძლიან ერთი მანეთი მასესხო?

მსახ. ხე, ხე, ხე! როგორი ხუმრობა იცი, ბატონო, ხე! ხე, ხე, (გადის)

ფხეკ. (მარტო) სად ვიშოვო? დალახვროს ღმერთმა! იქით კვირია ჟორტი დავსეტყვე, ეხლა იმასაც ასახლებენ... ხარაძე მუდამ მთვრალია.. მაგრამ ვცდი... (შლახს აიღებს და გადის. კარების უკან მოისმის ხმაურობა, იარაღით კარების კლიტეს ატყვენ, კარი გაიღება. შემოდის ქურდი, კარგა ჩაცმული ემსწიფი. ნატრის ფერი ჰაღტო. ერთ ხელში კლიტის გასადგები (ОТМЫЧКА) უჭირავს, მეორეში ჰატარა ჩემოდანი ან სკაფიაჟი)

III

ქ უ რ დ ი.

ქურდი. ამას წინად გაზეთში ამოვიკითხე, რომ ერთი გამოჩენილი მსახიობი ქალი თურმე რაღაც გაუგებარ შიშს განიცდის, როდესაც სცენაზე გამოდს... მეც.. აი, აგერ ათი წელიწადია, ათი... ღმერთო, და, როგორ გარბის დრო!.. ათი წელიწადია რაც ვმუშაობ, და ყოველთვის, როდესაც კარს ვტეხავ (ტუღზე მიიღებს ხელს) აქ რაღაც გულის ძგერას ვგრძნობ... მაგრამ ეხლა გაიარა კიდევ... (ათვალიერებს) სად მოგვხვდით? (დაინახავს გვირგვინს) აქტიორი! ვერ არის სასიამოვნო, მაგრამ რას იზავ!... კრიზისია. უარს ვერაფერზე ვიტყვი... ჩემი ხელობა ესეთია—შეიძლება ბადეს თვეში მოხვდეს, შეიძლება არა. ეს შემთხვევის საქმეა... ეხლაც ასეთს მდგომარეობაში ვარ. მაგრამ დროა შეუდგეთ საქმეს. (მივა კამოდთან. კარებს აკაკუნებენ. ქურდი იარაღს ჯიბეში ჩაიღებს. ისევ აკაკუნებენ. კარი გაიღება და შემოდის სტამბის გამგე) დალახვროს ღმერთმა! აკი არ გავები! (გადავა მარცხნივ)

IV

იგივე და სტამბის გამგე.

სტ. გამგე (კარებს გასდებს და შემოდის) ბ-ნი ფხეკილოძე ბრძანდებით?

ქურ. (შეშინებული) ვინა?

სტ. გამგე ბ ნ ი ფხეკლადე.

ქ რ. ეე... დიახ... დ ა ხ . . .

სტ. გამგე. მე სტამბიდან ვარ .-

ქურ აპა... .

სტ. გამგე. უთუოდ ეხლა გესით, თუ რაშია საქმე?

ქურ. დიახ, დიახ, მესმის: თქვენ სტამბიდან მოხვედით.

სტ. გამგე. ნება მომეცით მოგაგონოთ (ანჯარიშს აძლევს)

ქურ. (კითხულობს) „ანგარიში გადადებული წარმოდგენების ანონსებ-სა... — მე მოვალე ვარ პირველ მარიამობის თვეს გადავიხადო შეილი მანე ი. ა — ხელს ვაწერ: ფხეკლადე. (ანჯარიშს გადასცემს) დიახ, ყველაფერი რიგზეა, გმადლობთ.

სტ. გამგე. ფულის გადახდაზე რას იტყვი?

ქურ. მე რისთვის უნდა გადავიხადო?

სტ. გამგე. ძალიან კარგი. (კარებსასკენ მიდის)

ქურ. მიდის. (მარჯვნივ გადადის)

სტ. გამგე. (კარებს გადაებს და ევინის) თქვენა გგონიათ ვერა ადვილათ მორჩებით... ორჯერ გამოგზავნე კაცი, ეხლა მე თითონ მოვედი! კმარა!

ქურ. დალახვროს ღმერთმა! მთელს სახლში ალიაქოთს ააყენებს.

სტ. გამგე. (შემოდის ოთახში და შავიდასე მუშტს დაჭკრავს) შეკვეთა იცით და ფულის გადახდა კი არა!.. გიცნობთ რა შეილიცა ბრძანდებით!.. ისე მოგექცევით როგორც გეკადრებათ!

ქურ. ღვთის გულისთვის ნუ ყვირით, ყრუ არა ვარ!

სტ. გამგე. (კარებთან მივა) არა, ვიყვირებ! ვნახოთ როგორ გააჩაჩუმებთ!

ქურ. (მივა მასთან) ტსს, — კარები დახუროთ!.. გადავიხდი, გადავიხდი ..

სტ. გამგე. (კარს მისუთავს) აპა! ნგრე სჯობია!

ქურ. მაჩვენეთ ანგარიში. (გადახედავს ამოიღებს თუშინანს) ხურდა მოიტა.

სტ. გამგე. ინებეთ

ქურ სწორე გითხრათ, ძლიერ დიდი ხმა გქონიათ.

სტ. გამგე. დიახ, ვერ დავემდურები. ამისათვისაც ვყვევარ სტამბაში დაქირავებული. საცა ნისიას არ იძლევიან — შე მეზავნიან. მშვიდობით. (ადის)

ქურდი. (ანჯარიშს ათავსოვრებს) შეილი მანეთი ამფცქენეს.. არა უშავსრა, ეხლავე გავინაღდებ... მაშ შეუუღეთ საქმეს.. (მივა კამოდან. კარს აჭაკუნებენ.) ისეე!.. საზიზრობაა (შემოდის ახალგაზრდა მრეცხავი ქაღი. კალათით სარეცხი მოაქვს)

გრ აბაკელია

(დასასრული იქნება)

მგზავრის შთაბეჭდილებანი

— კახეთი და მისი დღევანდელი მდგომარეობა

ჩვენ ქართველებმა ათასჯერ უკეთ ვიცით სხვა ქვეყნების მდგომარეობა, ვიდრე ჩვენი ქვეყნისა; არ გვინდა და არა გვსურს ჩვენი სამშობლო საუუძვლიანად გავიცნოთ; ჩვენ უმეტეს შემთხვევაში მოკლე კორესპონდენციებით ვკმაყოფილდებით და ამით გვეგონია, ქვეყნის საკითხები გაშუქებული გვქონდეს. ნამდვილად კი სულ სხვაა, ავიღოთ თუნდა კახეთი, — ეს ტურთა წალკოტი საქართველოისა. იგი შინაგან აღწერალებას სრულიად მოკლებულია. კახეთში შესული მკვლევარი, რომელსაც ცოტა მანც აინტერესებს ჩვენი ქვეყნის ბედ-იღბალი, აუარებელ მასაღას პოვებს როგორც მეტად გასახარელს, გრეთვე გულ-სატკენს და აღსაფოთებელს, რომლის შესახებც ჩვენმა საზოგადოებამ ან სრულიად არაფერი იცის, ან და ძლიერ ნაკლები. ჩვენი მიზანი იყო ყოველ მხრივ შეგვესწავლა კახეთი და მისი საქიროებანი სამზოვზე გამოგვეტანა. მოლაშქრეთა გაწვევამ ხელი შეგვიშალა მიზნის სავსებით შესრულებაში, მაგრამ რაც ვნახეთ, ისიც ნათელს მოჰფენს ჩვენს საქმიანობას და ნიღაბს ახდის ბევრ ვაჟბატონის კეკეშალულობას. ამ საგნის შესახებ ჩვენ წეროლებს მოვითავსებთ ამოკლე ხანში.

ჯაფარ რაჭველი

სამი საუკუნის წინეთ

(ამოკრეფილი ცნობები)

როგორც შეითხვევლებსაც მოქსენებსთ მიმდინარე წლის 23 აპრილს 300 წელიწადი შესრულდა, რაც უდიდესი შექსნიერი გარდაცვალება. ინგლისი დიდის ამბით ამბობდა დიდებულ მწერლის სსოფინისათვის ხატოვია ეტა. *) უთოოდ მთელი კატობრიობაც, ეს სახარკო ომი რომ არ უოფილიყო, მონაწილეობას მიიღებდა ამ დღესასწაულში. მაგრამ საკითხი დღემდე მაინც ეს არის; ვინ უნდა ედღესასწაულებინათ?

შექსნირის ბედიც გვაგანებს ორი ბუმბურაზის: ბედს ჭომირისის და რუსთაველისის. აზიის საბეჭდოთის თითქმის ეგვლა ქალაქები ელაგებდნენ ერთი მეორეს: არა მე ვარ შობელი ქალაქი ჭომირისისა, არა მეო. თანამედროვე ისტორიულ შეტნიერებისათვის ჭომირისის თვით არსებობაც კი საკამათოა და ამავე შეტნიერებამ არ იცის სად დაიბადა რუსთაველი, სად გააზარდა, ვინ იყო.

შექსნირზე კი იტანა, რომ ცხოვრობდა, ამაზე არაფერი კამათობს, მაგრამ ის ეყო ატორი ამ დიდებულ ტრაგედიებისა, კომედიებისა და ისტორიულ ქრონიკათა თუ არა, ამის შესახებ კამათი დღეს აქამომდე არ მოსხობილა. ხოლო ვინც ამტკიცებს, რომ შექსნირი არ ეყო მწერალია, ამის შევეთრი საბუთებიცა აქვს.

მაშ ვინ ეყო ის ბედიერი ჯდამიანი, რომელსაც წილად ხვდა ესეთი თავგანის ცემა რამდენიმე საუკუნეთა განმავლობაში? ვინ ეყო ეს იღუმადებით მოცული ხიროვნება?

შექსნირზე ჩვენ აი რა ვიცით:

ეყო და ცხოვრობდა ერთი უღირსი კაცი ინგლისის მაწია ქალაქ სტრატფორდში.

ეს კაცი დაიბადა 1564 წელს. ჯერ კიდევ მძაფრე ეყო, რომ ღოთობას მიჰყო ხელი და სწავლით კი ისე ცუდით სწავლობდა, რომ წერაც ვერაფრით ვერ ისწავლა.

*) ვფიქრობდით შექსნირისა და სერვანტისის გარდაცვალების 300 წ. თავის აღსანიშნავად საგანგებო ნომერი გამოგვეცა, რისთვისაც საგანგებო კლიშეებისა და სხვა მასალების მომზადება შეუკვეთეთ რუსეთში, მაგრამ რადგან დღემდე ვერ მივიღეთ, გადავწყვიტეთ უკვე მიღებული წერილები დროგამოშვებით გვექლოთ.

რედ.

მამამ სასწავლებლიდან გამოიყვანა და ესობობა შესასწავლად, მაგრამ ამაშიც სიზარმაცე გამოიჩინა, გაიქცა სახლიდან და ქურდობა დაიწყო. ქურდობისათვის გაასამართლეს კიდევ.

როდესაც ოცდაათი წლის შეიქმნა, ღონდონში წავიდა და ის ხელობა დაიჭირა, რომ თეატრის კარებთან ცხენებისათვის უნდა ედარჯნა.

აქედან დაიწყო მისი სათეატრო კარეირა ჯერ მისხურათ ეყო თეატრის კარებთან, შემდეგ კულისებში—მისახობთა მისხურად და ბოლოს თვით გახდა მისახობი—ადმინრულებელი მაწია როლებებისა.

მისივე დროს ცხოვრობდა ღორდ სოუტ-ჭუმბტონი, განთქმული მთარეული და მეტობარი მეტსანთა და მისახობთა და იმ საზოგადოებამ, რომელშიაც ღორდი ტრიალებდა, ამ მისხურ—მისახობს ფაღსტაფი დაარქვა.

როდესაც რომელიმე ღორდისათვის რამე მიხეზის გამო უხერხული ეყო, რომ თავისი ატორობა გამოემუღაფნიბა, მაშინ დაიქირავებდნენ ამ ფაღსტაფს იმისათვის, რომ მას ღორდის მაგივრათ თავისი სახელი მოეწერა.

ამ გვარად ის კაც, რომელმაც წერა არ იცოდა, მწერალი გახდა.

სტენაზე სამსხურს კი 18 წლის შემდეგ, 49 წლის კაცმა დაანება თავი და დაბრუნდა თავის სამშობლო ქალაქში, სტრატფორდს.

აქ მის თანამემამულეთა გასაკვირად, მან სახლი იეიდა და სარგებელში ფულის გასესხებაც კი დაიწყო.

ამ გვარად სამშობლოში კარგა შეტნილი ჩამოვიდა და, რასაკვირველია, სტენაზე ან სტენასთან სამსახურით იმ დროში მაინც ის საგრობობელს ვერას შეიძენდა.

მისი ახალი ხელობა-კი მეფესშეობა ისეთი თვისებისა ეყო, რომ სასამართლოში საქმეების წარმოება სჭირდებოდა. რაკი თვითონ წერა-კითხვა არ იცოდა, გექილი აიყვანა და მის მაგიერ ის წარმოებდა საქმეებს. თვითონ კი ფულის ტ დახდევიებში ეყო დაუნდობელი და სასტიკი.

თავისუფალ დროს კი ტავერებში (სამიკიტნობებში) ატარებდა.

გარდაიცვალა 53 წლის მომეტებულის

ღვინის სმის გამო.

ამ უოფლად უღირსი კაცის სახელი უილიამ შექსპირია.

და ეს სახელი შეიქმნა უკვლავი, გადაეცა საუკუნოებს და ხალხი თაყვანს სცემს ამ სახელს, როგორც უდიდებულესს საკაცობრივ, მსოფლიო ჭეინაოსს.

შევახსენა, ქურდისა და ლოთის სურათი მოელხ ქვეყანას მოეფინა ამ კაცის სკრათით ან მისი ბიურსით ამკობენ აკადემიებს, სკოლებს, თეატრებს.

სამი საუკუნე კაცობრიობა მოტყუებული იყო. გაიძვრა ფაფქაფის სახეში იგი ჭეინოსობის ნატამაღს ეძებდა და შთამომავლობიდან შთამავლდაში გადაიღოდა აღტყებული თაყვანება ამ ზიროვნებისადმი.

რა მშენიერი სიუჟეტია საამქვეყნო, მსოფლიო კომედიისათვის!

მხოლოდ ორასი წლის შემდეგ, რაც ეს სტრადოტორული გაიძვრა შევასაგ ტარდაცვალა, ბირველად შეიტანეს ეტვი შექსპირის ვინაობაში და საკამათო აღუჩნდათ: ეს კაცია თუ არა დამწერი ამ დიდებულ ნაწარმოებთან?

გამოგვლევს შემდეგ იმ აზრს დააღვენ, რომ ავტორი ან ლორდ სოუტჰემტონი უნდა იყოს, ან თვით კანტუერი შექსპირის დროსა, განთქმული პენსიერი ბეკონი.

დანახენ სხვა მწერლებს შექსპირის დროისას (221 კაცა) ამისი არც უნარი ჭქონდათ არც ცოდნა და არც ნიჭი მოსდევდათ ისეთი, რომ ეგეთი მძალი ნაწარმოებნი შეექმნათ.

ამ გვართ ზირველი ეტვი შიგვ ადიძრს მაგრამ შექსპირის ჭეინოსობის რწმენა ისე იყო ხალხში გამტკიცებული, რომ ამ ეტვის არ აჭუნენ. ზოგიერთ შეტნურის კარდა უმეტესობას მანტ სწამდა, რომ ეს დიდებული თხზულებანი რომელთა ავტორსაც უნდა კარგა შეოფისებული ჭქონოდა სასახდის კარის წასრიგი, სტოდნოდა კანონმდებლობა, ჭქონოდა ნათელი წარმოდგენა სამსედრო სელოფენბაზე. ზედ-მიწევნით სტოდნოდა ისტორია, ბეგრეტ ემოგზაურნა და საზოგადოთ აღჭურვილი ეოფილიოფო მისი ეპოქის განათლებით, მანტ და მანტ იყო ის კაცი, რომელსაც არავითარი განათლება არა ჭქონის მიღებული, არ სტოდნია წერა-კითხვაც კი და ფეხი არ გაუდგამს ინტლისიდან.

მოელო ორმოდნათი წელიწადი დასტოდნა იმას, რომ ერთხელ აღძრული ეტვი თანდათან გამტკიცებულიყო და მოეპოვნა ურვევი საბუთობა თხზულებათა ავტორის ვინაობის გამოსარკვევად.

და, აი, ატერ ორი წელიწადია, რაც ბეკონი-ელმა ლიტერატურის ზოფისოკრმა და მბლონმა გამოსარკვია სინამდვილე.

ბელნუარის ციხე-დარბაზის არქივში მან იმეფნა ორი საბუთი. ერთში ნახეუნებია, რომ ციხე-დარბაზის ზატონმა კრაფ რომტლენდმა აზნაურობის ხარისხი მოუპოვა შექსპირს და შეორეში კიდევ ის არის აღნიშნული, რომ შექსპირს რომტლენდის მატრ ზიროფისანაღურ სამსახურისთვისა ფული ექლეოდა.

დამბლონი შეუდგა იმის გამოკვლევის თუ რა დამოკიდებულება უნდა არსებულიყო შექსპირისა და კრაფ რომტლენდს შორის. გამკვლევისაში კა იმ დასკვნამდე მიიფუნა, რომ ავტორი იმ ნაწარმოებთა, რომელთაც შექსპირს აწერენ, კრაფ რომტლენდია.

დამბლონმა დიდის დაკვირვებით შეისწავლს კრაფ რომტლენდის ცხოვრება და აღმოაჩინა, რომ ნაწარმოებთა ქრონოლოგიური რიგი სრულიად და შეტწოდად შექსპირსაგამა რომტლენდის ცხოვრებას.

როტლენდი 1576 წ არის დაზადებული. თექვსმეტა წლისამ, კემბრიჯის უნივერსიტეტში ეოფინის დროს დასწერა თავისი ზირველი თხზულება ზქენის AI“ (უსუსტესი ნაწარმოები შექსპირისა).

შემდეგ მშობლების სურვილისამებრ გადაეგანოლი იქმნა ზადუის უნივერსიტეტში და ექეოფინის დროს თითქმის მოელო იტალია შემოიარა. იყო ვენეციაში, ვერონაში, მილანს.

აქედან წარმოსდგება მისი მშენიერი ცოდნა იტალიისა და ნაწარმოებნი: „ვერონელი საეუარლები“, „ვენეციელი ვაჭარი“, „ოტელიო“.

ხოლო, როდესაც სამშობლოში დაბრუნდა რომტლენდი სახელმწიფო ეაზამენი ჩაბარა იურიდიულ განუოფილებასზე.

აქედან უნდა ვიგულისხმით ეგეთი ზედ-მიწევნითი ცოდნა უფლებიან „შეგლოხა“-ში და სხვა ნაწარმოებში.

ელისაბედ დედოფლის წინააღმდეგ შეთქმუ-

ღობა სდგება. მეთაურად ესეკი გამოდის. გრაფ როტლენდი კი სულია და გულია ამ შეთქმულებიან.

ამ ხანაში იწერება „ოუდიონს კეისარი“ და რიხარდ II“, სიდაც უმთავრესი უურადღობა სახელმწიფო შეთქმულებათ აქვს მიქცეული.

დედაფაქმა დიდათ იწინა „რიხარდ II“-ს ჩამოკრულები და მოთხოვა, რომ ავტორი გამოემუდღუნებინათ. სწორედ ამ დროდან გრაფ როტლენდის ხელმოუწერელ თხზულებებს ხელს აწერს უდიამ შექსნიარი. ამავე დროდან დარბობსა და დარტაკ მხახიობს უდიამ შექსნიარს ფული გაუჩნდება.

ესეკის შეთქმულება ჩაიფუშა. შეთქმულები განსამართლეს და ბეგრინც დასაჯეს.

გრ. როტლენდი გავლენიან ნათესავეების შეკახებით პატარულ იქმნა. მაგრამ მას დაწვადეს ფეხ-მოფრფლელად ეცხოვრა ბიძა მისის სასახლეში და თან დარჯათ დაუეენეს ორი გამოცდილი პირფენება, როზენკრანდისა და გილდენსტრენის მსგავსი დამიანები.

მედების გარეუება და თავისუფლების მოკლება პესიმისტურ კუნებაზე იუენებს გრ. როტლენდს. მაშინ შეიქმნა „ჭამლეტს“ მისი პირველი რედაქციით.

მაგრამ ამ დროს ტახტზე ადის იაკობ I. იგი კვლავ თავისუფლებას ანიჭებს გრ. როტლენდს, დიანსლოფებს და საპატოო საქმესაც ავალეს: გამოგზავროს დინიას და იქაურ შეფეს მიულოტოს ვაჟის შექმნა.

დინიაში მოგზავრობისა და უოფინის დროს „ჭამლეტი“ საბოლოოთ შეაქმნა.

სამშობლოში დაბრუნებისას კი გრ. როტლენდს ნიშნავენ იმ დორისთვის მეტად მადლთანამდებობაზე—სამეფო ტუეების მოურავად.

ბუნებასთან დაახლოვებას კი ახალი კალო

შეაქვს როტლენდის ჭენიოსურ შემოქმედებაში. იოსების კომედიები: „როგორც თქვენა გნებავთ“ „სიხმიანი საფხულის დამეს“ და სხვ.

1611 წ. როტლენდი უდგოთ მოგზავრობის ქარიშხალი წამოაქწრობა სდვა აუღელდება და ხომალდინც ეღუებება. თვითონ კი თავს გადაირჩენს აზოხრის კუნძულებზე

ამ მოგზავრობაში მიღებულ შთაბეჭდილებაში დაწვრიან უკანასკნელი ნაწარმოები: „ქარიშხალი“.

1612 წ. გრ. როტლენდი გარდაიცვალა. უდიამ შექსნიარი კი მაკვდა 1616 წ. მაგრამ უკანასკნელ ოთხ წელიწადს, როგორც ვიცით, მას არაფერი არ დაუწერია.

ამ გვარათ სამი ხაუკუნეა, რაც გრაფ როტლენდის სახელს არავინ არ იცნობდა, თუშტა მისი კეთილშობილი სული, რომელსაც თან ახლდა სიბრძნე მეცნიერისა და გამჭვრეტელობა წინასწარმეტყველისა, ცხოვრებდა დამიანთა შორის უგვლავ ტრაგედიებისა და კომედიების სახით. დაბრმავებული საღხი კი ფიქრობდა, რომ ეს მადლიანი ნაწარმოები ეკუთვნოდა ეოვლად უდიოსსა და გაიძვრა ფაქსტაფს!

თუშტა ამ სტოქიანების წერის დროს მოკვდის ფიქრად: რა ძნელი უნდა იყოს მკითხველისთვის შექსნიარის სახელის დამოება.

ისეთი შარავანდელით არის ეს სახელი მოსილი.

მაგრამ მეცნიერულ სიმართლეს რათ უნდა გავექცეთ და ეს სიმართლე რატომ არ უნდა ვიცოდეთ ქართველებმა?

თუშტა ესეც კია ჩვენმა საღხმა არა სთქვა: „შენ ხილი იხი ჯე, მესილეს რას დაქება!“

მუკრანოვი

ხუ, ნუ მიგლოვებთ!

მე მხეს დაეძებებალ ცხოვეების ახალ სხივებით ეღვარ-მგზნე არსა, ბრძოლის პანგიებზე ვაქლერ ვათროლოებ შეავბნელ აწმყოთი შეთალხულ ქნარსა. და ვიდრე ვბოვებ მის ნეტარ სახეს თუ დავიდლუა, დავილო სული, ნუ, ნუ მოგლოვებთ, მხოლოდ განსოვდეთ, ვით სამშობლო-სთვის თოვ-განწირული! **ალ რიონისპირელი**

პარტიველი ჯარის კაცი



პირველად გერმანიის საზღვარზე დი-ობრა და მოთავსებულ იქმნა მოსკოვის ლაზარეთში: განკურნებისთანავე გაგზავნეს იმავე საზღვრისაკენ სადაც საიი თვ ს ბრძოლის შემდეგ კიდევ დასტრეს მარჯვენა ფეხში. მეორედ განკურნების შემდეგ, მისივე თხოვნით, გაგზავნეს კავკასიის ასპარზე, სადაც ოთხი-ხუთი თვე დაჰყო

ივ. ელ. თალაკვაძე ახლა კი, მკათათვეს, ბრძოლაში მარჯვენა მკლავი მოუმტვრევიათ. მოთავსებულია ბაქოს ერთ-ერთ საავადმყოფოში.

მომღერალი-მსახიობი

(სურათი იხ. პირველ გვ.)

კაზიმირ საველის ძე ცხომელიძე, რომელიც სამშაბათს, 19 მკათ. თბილისში გარდაიცვალა ჩვენს სამუსიკო-დრამატიულ წრეებში მუყაით მუშაკად ითვლებოდა. დაიბადა 1864 წ. 1 გიორგობისთვის, მამა მისი თბილისის მოქალაქე იყო, დედა—რუსის ქალი. სემენარიაში წაველის შემდეგ ჯერ თბ. საიმპ. მუსიკ. სკოლაში შევიდა, მერე მოსკოვის სამუსიკოე სასწავლებელში. სამუსიკო მოღვაწეობას სკოლიდანვე შეუდგა. სცენ ზე გამოვიდა 90-იან წწ.

მიუხედავად იმისა, რომ კ. ც—ძეს კერძო სამსახურიც ჰქონდა (ჩკინის გზის სამმართველოში), ჩვენში სამუსიკო-დრამატიულ საქმეს ბევრითად ემსახურებოდა: იგი იყო ერთი დამფუძნებელთაგანი თბ. სახალხო სამუსიკო საზოგადოების, აგრედვე წევრი ქართ. ფილ. სიფიზის, სახალხო კითხვათა და სხ. საზოგადოებათა. მხურვალე მონაწილეობას იღებდა ავტალის აუდიტორიისა და ჩკინის გზის სცენებზე სახალხო საოპერო-დრამატიულ ნაწარმოებთა დადგმაში და საქველმოქმედო საღამოებში; დიდ ყურადღებას აქცევდა ხალხში სამუსიკო ხელოვნების აღორძინება-გავრცელებას; სახლში ამზადებდა მოწაფეებს ცალფა თუ საგუნდო სიმღერათათვის და ხმას უსწორებდა.

1900 წ. როდესაც ნ. გ. ქართველიშვილის თაოსნობით ქართულს ენაზე პირველად სრულად დაიდგა ოპერა „სვეტილი დავაქი“, კ. ცხომელიძემ მხურვალე მონაწილეობა მიიღო (ფიგარო შეასრულა) და მას შემდეგ გატაცებული იყო ქართულად ვეროპიულ მუსიკის გავრცელებით: მისი თაოსნობით ანუ უმხროლობელსე მონაწილეობით ითარგმნებოდა და იდგმოდა ვეროპიულ ოპერები. თვით შეუსრულბია: რიგოლეტო, დემონი, ონეგინი, ტორეადო („ქარმენი“), ტანეო („პაიაცები“), ერნანი, ვალენტინი (ფაუსტი), ბოშათა სიმღერები და მრ. სხ სწერდა უმთავრესად სამუსიკო რეცენზიებსა და სხვა წერილებს მუსიკის შესახებ. სამუსიკო საკითხების გარკვევაში იყო მოუარიდებელი და პირდაპირი.

კ. ცხომელიძის მოულოდნელი სიკვდილით (ჯერ 52 წ. იყო) სახალხო სამუსიკო მოღვაწეთა გუნდს ერთი დღე-ღამე მუშაკთაგანი გამოაყლდა.

კეთილი იყოს ხსენება მისი

ი—ელი

გრიგოლ (გრ.) შა) ზურაბის ძის თავა. ხმარხეულიძის დამწუხრებელი მშობლები: თავ. ზურაბ დიმიტრის-ძე, კნ. ოლა დარისპნის ასული, ძმა მიხეილი, და სონია, რძალი დარკო და დეიდა ანა ელიოზიშვილისა უღრმეს მადლობას უცხადებენ დ. თიონეთის საზოგადოებას და ყველა ნათე ავ-ნაცნობ-ამხანაგებს, რომელთაც მათი ძვირფასი გრიგოლის ცხედრის გადმოსვენება-დაკ-ძალვის დროს დასწრებით; დეპეშებით, ან სხეფორიე მათი მწუხარება გაიზიარეს.



სურამში შაბათს, 16 მკათ. შალვა დადიანმა ელო ანდრონიკაშვილის მონაწილეობით წარმოადგინა საკუთარი პიესა „შენი ტირიმენი“—კალმის ნაეშმაკარი, სამ მოქმ. ე. გენერლის როლს თვით შ. დადიანი კარგად ასრულებდა. „კნაიუნა“ ოლია საუცხოვოდ განასახიერა ე. ანდრონიკაშვილმა. კარგი იყო ბ-ნი გ. ვეზირიშვილიც (ბურდული). პირნათლად შეასრულეს: ქ-მა ბელაქნელმა (კნ. მერი) და ბ-მა გ. ლორთქიფანიძემ (ვექილი). გენერლის ვაჟის როლს (სოსიკო) ასრულებდა ბ-ნი გრიშა სულიაშვილი. ამ სცენის მოყვარეს თავისი ნიჭიერი და დაფიქრებული თამაშით არა-ერთხელ დაუტკბია სურამ-ხაშურის საზოგადოება. მასში უტყუარი ნიჭი ღვივის. მისი ამბულაა დრამტ. როლები, ამ საღამოსაც ბევრ გულჩელი მაყურებელს მოჰგვარა თვალბეზე თანაგრძნობის ცრემლები.

შემდეგ დასდგეს ვოდ. ალხსპირელისა „მშვიდობით ოცნება“, სადაც ქ-მა ე. ანდრონიკაშვილმა საუცხოოდ დაგვიხატა თანამედროვე ქალის ხატება და ბევრი აცინა საზოგადოება. ხალხი ბევრი დაესწრო და 12 ს. მეტად ნასიამოვნებიც დაიშალა.

აღსანიშნავია, რომ ამავე დღეს დ. ხაშურშიც იყო წარმოდგენა, წარმოადგინეს სუნდუკიანცი ცნობილი პიესა „პეპო“

კაკალი

სახელოვნო კლუბში 7 მკათ. ნაძალადევის ახ. წარმ მმართ წრემ წარმოადგინა ალ. ყაზბეგის „ყაჩ ლი არსენა“. პიესაში მონაწილეობდენ დამსახურებული მსახიობნიც—გამყრელიძე (გარსევან ამყაძე) და გ. გვედევანოვი (სირაჯი), რომელთაც, რალა თქმა უნდა, ნაკისრი როლები საუცხოვოდ შეასრულეს დანარჩენი სცენის მოყვარენიც ანამბლს ხელს უწყობდნენ, რის გამოც პიესამ საუკეთესოთ ჩაიარა. ხალხი საქმაოთ დაესწრო და კმაყოფილიც დარჩა, რადგანაც წარმოდგენა უფა ო იყო. ამ მხრით კლუბის გამგეობა ღირსია მადლობ ს; მამასახლისთ გადაუწყვეტიათ წარმოდგენები ყოველთვის უსასყიდლოთ ნართონ ხოლზე და ხალხმა ო-ს ადგილას აღარ გაიღოს ფასი (კლუბში შესაშვლელ ფასს მხოლოდ 15 კაპ. წამატება). ამ ფასით კი ხელ სანი მაყურებელი დაესწრობა ყოველგვარ გასართ ბს ასე წარმოდგენებსაც უფრო მეტი მაყურებელ მსმენელი შეეძინება. სხვათა შორი. ჩვენ შენიშნეთ ერთი ფრიად სასიამოვნო მოვლენა: ბ-ნი გვედევანოვი-პროექტორის დასასრულს ჰმართავს ხოლმე კითხვა-საუბარს სხვა და სხვა სამეცნიერო საგნებზე (ელექტრონის ძალა, მისი შემადგენელი ელემენტები და სხ.) მაგრამ. სამწუხაროდ, საზოგადოება ძლიერნა

კლებით ესწრობა და ეს იქნა, რომ ჯერ-ჯერობით ალაბად დამსწრეთ არ აინტერესებთ ასეთ საგანთა სწავლა. საჭიროა, მამასახლისთა საბჭომ ამ გარემოებას ყურადღება მიაქციოს და ლექსა-საუბრების შინაარსი ხალხის ყოველ-დღიურ ქირ-ვარამის გამოხატვას შეუფარდოს, ე. ი. ისეთი საუბრები გამართოს რაც ხალხის გულს მალამოდ მოეცება და დღევანდელ კითხვებს გუარკვევს. ალექ. ზაჯიაშვილი

სოფ. ხაშში (გარე კახეთი) კვლავ გამოფიხილების გზას დაადგა. გასულ ორშაბათს, 18 მკათათვეს აქ შესდგა მოწინავე პირთა კრება ადგილობრივ კულტურულ საქმეთა შესახებ მოსალაპარაკებლად, ეს სოფელი ერთ დროს კულტურულად წინ იდგა: ჰქონდა სცენა, სამკითხველო, მართავდა საუკეთესო წარმოდგენებს, ღღეს-კი ყოველივე ეს მინგრეულ-მონგრეულია, დღეს, როდესაც საკმაო ინტელიგენტური ძალნი მოიპოვებებიან და თეატრი და წიგნები უფრო საჭიროა... კრებამ დაადგინა: 1) ეთხოვოს ქ. შ. წ. კ. საზ-ის, რომ ხაშშზე დაფუძნოს სამკითხველო ისტორიკოს დიმიტრი ბაქრაძის სახელზე; 2) შეკრებილ იქმნეს ძველი სამკითხველოს გაფანტული წიგნები, 3) დაქირავებულ იქმნეს სამკითხველოსთვის ოთახი; 4) შესდგეს ქ. შ. წ. კ. საზ-ის ხაშშის განყოფილება, რომელიც იზრუნებს სამკითხველოს შესანახად, სახალხო წარმოდგენებისა და კითხვების გასამართავად და სხ.; 5) ამავე კრებაზე აირჩა კომისია, რომელსაც დაევალა შეადგინოს სათეატრო შენობის აკეთებელი ხარჯთ-აღრიცხვა და მალე კრება მოიწვიოს. კომისია ამისა—6, აირჩა კომისია, რომელსაც დაევალა, გამოიძიოს ამ ოციოდე წლის განმავლობაში გამართულ წარმოდგენების შემოს-ვლი სდ რას მოხმარდა და გადაარჩინონ თანხა ბანკში შეიტანოს მდ. ივ. ხაბაიშვილის სახელზე.

საქრო კომისიებში არჩეული არიან ადგილობრივი გლეხები და ქალიც. ვუსურვოთ წარმატება

ადგილობრივი გლეხი

საჩაშიშის სერის სკოლის შენობაში ადგილობრივმა სცენის მოყვარებებმა და თევზაძის რეჟისორობით კვირას, 10 მკათათვეს, სამკითხველოს სასარგებლოდ წარმოადგინეს ირეთელის 5 მოქ. დრ. „დამარცხებულნი“. ნიკო ბერდიაშვილის როლი თევზაძემ საშუალოდ შეასრულა. არა უშავდათ დ. ღუჩავას (ვანო), ი. ხუნდაძეს (ქეთო) და ფ. რამიშვილს (მიშა). ე. რამიშვილმ (ელისაბედი) როლის დაკვირვებული და გრძობიერ შესრულებით საზოგადოებაში დიდი აღტაცება გამოიწვია. საერთოდ წარმოდგენას არა უშავდარა. ხალხი ბევრი დაესწრო, სამწუხაროდ ზოგი ერთი ვაებატონი ხელის შეწყობის მაგიერ თეატრში გაღეშილი მოსულიყო და „მკლავაძობას“ ჩემულობდა. საჭიროა წეს-რიგს მეტი ყურადღება მიაქციონ.

ესევე დასი 15 მკათათვი თვის ზემოხეტის გაემგზავრა „არსენას“ და „დილა ქორწილის შემდეგ“-ის წარმოსადგენად

ბ. ესმაშვილი

ახალი კლუბი 1 კვირის პროგრამა 24-31 ივლისს

ორშაბათი — რუსული ოპერეტა

სამშაბათი — სიმფონიური კონცერტი

ოთხშაბათი — სინემატ. სიმფ. ორკესტრი

ხუთშაბათი — ქართ. წარმ. (უფას.); ორკ.,

პარასკე. სინემატოგრაფი, სიმფონ. ორკ.

შაბათი — სიმფ. კონცერტი

კვირა — საბავშვო საღამო, ორკეს, სინემატ.

დასაწყისი: კონცერტებისა საღამ. 9 საათ.

წარმოდგენისა და სინემატოგრა. საღ. 8 1/2 ს, სემსასწავლი ფასი ჩვეულებრივია, მხოლოდ-სამშაბათს და შაბათს იხდიან: მანდილოსნები და ტულენტები (ფორმ.) 65 კ. მამაკაცები 1-05 კ.

ხარუხის საზოგადო კლუბი

(მიხეილის პროსპექტი, № 131)

ერთი კვირის პროგრამა 24-31 მკათათვეს

კვირა — კონცერტი ვანო სარაჯიშვილის მონაწილეობით; ორკ.

ორშაბათი — სინემატოგრაფი; მუსიკა.

სამშაბათი — სინემატოგრაფი; ორკ.

ოთხშაბათი — ქართ. წარმოდგენა; ბალ-სამხედრო — მუსიკა

ხუთშაბათი — სინემატოგრაფი; საზანდარი.

პარასკე — სინემატოგრაფი. სამხ ორკესტრი

შაბათი — ქართ. „ძალია“ ტრალიკოსი; დი-ვერტისმენტი.

კვირა — კონცერტი ვანო სარაჯიშვილის მონაწილეობით; საზანდარი.

წარმოდგენა-კონცერტებზე უფასოა



რედაქტორ-გამომცემელი ანნა იმედაშვილისა